ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5

1925 წ.

ოქტომბერი

სახელმწიფო გამომცემლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვერდი.
1.	ამბ. დ. კანდელაკის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი—სურათი.	1
2.	პირველი მაისი—ლექსი **დ. ელიოზიშვილისა**	2
3.	1 მაისი—**დ. კარბელისა**	6
4.	პატარა შრომის შვილი—**ლ. ქიაჩელისა**	7
5.	გიგლას დროშა—**დ. ელიოზიშვილისა**	9
6.	პირველი მაისი,—საბავშო ოპერა. სიტყვები გადმოკეთებული **ლ. გეგეჭკორის** მიერ, მუსიკა **შ. თაქთაქიშვილის**	13
7.	მოგზაური ცხოველები—თარგ. **დ. ან—ისა**	21
8.	პეპელა—**კატო ბურ—ძესი**	28
9.	კუ მიდის დასაძინებლად— **დ. თურდოსპირელისა** . .	29
10.	შარადა, აკროსტიხი	ყდაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-XXI № 5 მაისი 1925 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის
და ახალგაზრდათა კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

ამხ. დ. კანდელაკის სახელოვნების ნოვრჩ პიონერთა კოლექტივი.
კოლექტივი დაარსდა [illegible] ნოემბერში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

=პიროვნული მაისი=

ა

დილა გათენდა საამო,
ჭფეთქავს ბუნების გულია;
შეხედეთ არე-მიდამოს,
რა ტურფად მოქარგულია!

ფერად-ფერადი ყვავილნი
ფერხულს აბამენ ველზედა;
მწვანე ფოთოლი შრიალებს
მრავალტოტოვან ხეზედა.

მერცხალი სცურავს, სრიალებს
მოკრიალებულ ცაზედა.
ტოროლა ჯეჯილს დამღერის
სასიამოვნო ხმაზედა.

ცხრათვალა მზისა სხივები
წყაროს თავს დასტრიალებენ,
და მის ნაშხეფებს ჭაერში
ალმასებრ აპრიალებენ.

ზეიმი ჰრის ბუნების,
სიამით ჭფეთქავს გულია,
შეხედეთ არე-მიდამოს,
რა ტურფად მოქარგულია!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ.

მაგრამ რას ნიშნავს, მინდორში
გლეხებს ვერ ვხედავთ, ვერაო;
ბაღ-ვენახებით არ ისმის
მათი მუშური მღერაო.

დღეს ჰეტრე თავის ნაფუძარს
არ დასტრიალებს თავსაო;
ხომ არ უმუხთლა წერამა
და არ შეჭვარა ავსაო?!.

გ.

სოფლით მოისმის გუგუნი,
სოფელი კიდეც მღერისო;
როგორც ეტეობა, მის შვილებს
დღე გაუთენდათ ლხენისო.

ერთად შეერილან გლეხები,
მოდიან სოფლის გზებითა;
ჰეტრე მოუძღვით ყველას წინ
აღფრთოვანებულ მღერითა.

დიდი, ჰატარა, მოხუცი,
ალისფერ თავშლით ქალები,
ჰეტრეს ბანს ეუბნებიან,—
ყველას უბრწყინავს თვალები.

ხელში უჭირავთ დროშები,—
წითლად ელავენ მზეზედა;
ნამგალ-ჩაქუჩი ოქროსფრად
ბრწყინავენ წითელ ფონზედა.

ბუნების გაღვიძებასთან
ძაშვრალიც ფეხზე დგებაო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ძმობა და ერთობა
დღეს ყველგან განმტკიცდებაო.
ჰირველი არის მაისის,—
დღე ტვირთმძიმეთა ლხენისო,
იმიტომ ისმის გუგუნი,
სოფელიც მიტომ მღერისო!..

დ.

დილაადრიან ქალაქით
საყვირთ გუგუნი გაისმა;
ქარხნების მუშებს ახარა
და მიულოცა მაისმა.
დღეს ჰირველია მაისის,—
მაშვრალთა სასწაულია;
დღეს, მაშვრალთ კერავ, ბრძოლისთვის
გაისალკლდეეე გულია!

*
* *

ქალაქმა ფერი იცვალა,
ქალაქს ვეღარ სცნობს თვალია;
ზეიმობს დიდი, ჰატარა,—
ყველა სიამით მთვრალია.

ე.

ვხედავ მუშათა რიგებსა
ქალაქის ყველა გზებზედა;
გულგაღეღილი მოდიან,
ოფლი ჩამოსდით მკერდზედა.
მათ დაკოჟრებულ ხელებში
წითელი დროშა ფრიალებს,
და მათ ფოლადი მკერდიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა ამოგრიალებს.
წითელარმიელთ ხიშტები
რარიგ ბზინავენ მზეზედა!
მტკიცედ უჭირავთ მათ ხელში,
გასალაშქრებლად მტერზედა.
მოდიან ქალთა რიგებიც
ასობით, ათასობითა;
ქალმა დალეწა ბორკილი,
რომ ედო მრავალ წლობითა.
პირმშონი ახალ ცხოვრების,
ბურჯები მომავლისაო,
კომკავშირელნი მოდიან
თავზარდამცემი მტრისაო.

ვ.

დილა გათენდა საამო,
ჭეთქავს ბუნების გულია;
შესედეთ არე-მიდამოს,
რა ტურფად მოქარგულია!
დღეს პირველია მაისის,
მაშვრალთა სასწაულია!..
დღეს, მაშვრალთ კერავ, ბრძოლისთვის
გაისალკლდეეე გულია!..

დ. ელიოზიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1 მაისი

არ არის სხვა ისეთი დღე, მეორე დღე, რომელსაც შეეძლოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ერთის აზრით და ფიქრით ამოძრავება.

ეს დღე ერთადერთია და მას პირველი მაისი ეწოდება,

ბავშო, შენ გახარებს პირველი მაისი, მისი ფერადი ყვავილები; შენ გახარებს ბუნების სიკეკლუცე, მშვენიერება,— სითბო-სინათლე მზისა—ამოძრავებული სიცოცხლე.

მაგრამ მშრომელსაც ახარებს ეს დღე; როგორც შენია ეს დღე, თითქოს შენს გასახარებლად გაჩენილი,—ისე მშრომელისაცაა იგი.

იცი, შენ რომ პირველი მაისი მთელი ქვეყნის ბავშებს ისევე ახარებს, როგორც შენ?

იცი შენ, რომ პირველი მაისი მთელი ქვეყნის მუშებსაც ახარებს?

ასე რომ ეს დღე საერთო ეოფილა,—თქვენი და მუშების.

თქვენ გახარებთ ის, რომ ამ დღეს მოირთვებით, ყვავილების თაიგულებს შეჭკრავთ, აფერადდებით იმასავით.

მუშა? მშრომელი? მას ახარებს ის, რომ ამ დღეს, ამ ერთადერთ დღეს, მთელი ქვეყნის მშრომელნი დარაზმულნი გამოვლენ ქუჩებში, მოედნებზე, ყველგან, — მჩაგვრელ ბურჟუაზიის შავი საქმეების ზიზღის გამოსაცხადებლად.

არ ჩამორჩება ამ საერთო ფერხულს არც ერთი ქვეყანა, არც ერთი მუშა.

მაშ, აფერადდი, ბავშო, ამ დღეს,—პირველ მაისს. ამღიმარდი და გახსოვდეს კი, რომ როგორც შენი ტოლები ხარობენ ყველგან პირველ მაისს, ისე მშრომელი მასები გაისარებენ მთელ ქვეყანაზე; ამ დღეს იგრძნობენ ისინი, რომ ერთს ოჯახს, ერთის აზრის და მისწრაფების მატარებელ ერთ ოჯახს შეადგენენ.

დ. კარბელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივის მამა ერთ დიდ ქარხანაში მუშაობდა. ქარხანასთან შრომის სკოლა იყო, სადაც გივი სწავლობდა.

როგორც კი ქარხნის საყვირის ხმა გაისმოდა დილით, გივის მამა ადგებოდა და სამუშაოზე წასასვლელად მოემზადებოდა. საყვირის ხმა გივისაც გამოაღვიძებდა. ბავშვიც საჩქაროდ ჩაიცვამდა და მამასთან ერთად სამზადისს შეუდგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო სკოლაში წასვლა, გივი მამას ჩაჰკიდებდა ხელს და ქარხნისკენ გასწევდა. უხაროდა, რომ მამასთან ერთად ჰქონდა გზა.

სანამ სწავლა დაიწყებოდა, გივი მამასთან რჩებოდა ქარხანაში. ნაცნობ მუშებს ესაუბრებოდა და მათ მუშაობას ადევნებდა თვალყურს.

მუშებს უყვარდათ გივი. სიამოვნებით ეკეთებოდენ მას და ესაუბრებოდენ. გივის აინტერესებდა მანქანების ნაწილები, თუ რომელი რას აკეთებდა და როგორ აკეთებდა. შეკითხვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამლევდა მამის მეგობრებს, და ისინიც უხსნიდენ პატარა ბრონ-მის შვილს, რაც კი მას აინტერესებდა.

ერთ დილას, როცა მამა და შვილი ქარხანას უახლოვ-დებოდენ, გივიმ სთქვა:

— იცი, მამა, ჩვენც გვაქვს სკოლაში სახელოსნო და ძალიან ბევრი ხელსაწყო. მე უკვე ვაკეთებ პატარა სკა-მებს და მაგიდებს... ზოგი იარაღისა და პატარა მანქანების დაშლა და აწყობაც შემიძლია... მასწავლებელმა გვასწავლა!

— ეოჩაღ, ჩემო გივი! უნდა ისწავლო და იშრომო. ადა-მიანს ქვეყანაზე შრომა და ცოდნა აცხოვრებს.—უთხრა მამამ. ამ სიტყვებით ქარხნის ეზოში შევიდენ. მუშები სამუშაოზე უკვე სდგებოდენ. გივიც სწორივით გაერია მათში და თა-მამად ამოუდგა გვერდში.

მეც აქა ვარ!—ამბობდენ მისი თვალები კმაყოფილებითა და თავმომწონეობით.

ლეო ქიაჩელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

ღამე დღეს გაეყარა. ცხრათვალა მზემ ლაჟვარდ ზეცას თვალი უყო... ნელ-ნელა იწყო ცურვა ზევით... მწვანით შემოხილ უზარმაზარ მთას გაუსწორდა. და იქიდან უხვად გადმოაფრქვია თავისი ოქროსფერი, საამური სხივები.

ერთი სხივი მსწრაფლ გიგლას ოთახში შეიჭრა და მის ბაწაწინა ლამაზ სახეს ღიტინი დაუწყო... გიგლამ თვალები აჭყიტა, ცოტა შეიშმუშნა და ლოგინიდან წამოიწია... საამური დილა იყო. მახლობელ ბაღიდან ჩიტუნების ჟრიამული ისმოდა. გიგლას გულმა არ მოუთმინა და მსწრაფლ ტანისამოსის ჩაცმას შეუდგა. ერთი წუთის შემდეგ გიგლა ხელ-პირის დასაბანად უკვე მზად იყო. აიღო საპონი და პირსახოცი, მიირბინა წყალთან და ხელ-პირი დაიბანა. დღევანდელი დილა ერთობ სიბლავდა გიგლას. ჩიტუნების ჟრიამული ყურში ხმაშეწყობილ მუსიკად ეწვეოებოდა.

კიდევ დიდხანს იდგომებოდა იქ გიგლა გატაცებული, მაგრამ დედამ ფანჯრიდან გადმოსძახა: ,,გიგლა, ჩაი მზად არის, მოდი, გენაცვალე''. გიგლამ დედას უარი ვერ შეჭბედა და სახლისაკენ გაეშურა. მისი პატარა ფინჯანი ჩაით სავსე უკვე მაგიდაზე იდგა. მაგიდას შემოსხდომოდენ გიგლას დედ-მამა და მისი უფროსი და ელო. გიგლა მაგიდას მიუჯდა და ჩაის სმა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამილო, რა მშვენიერი დილაა დღეს, ბაღში ჩიტუნები ისე სასიამოვნოდ ჭიკჭიკობენ, ისე, რომ...

— აბა ჩაი გაათავე, შემდეგ გადი ბაღში და ეური დაუგდე ჩიტუნების ჭიკჭიკს.

ჯერ ბაასი არ დაეთავებიათ მამა-შვილს, რომ ღია ფანჯრიდან სიმღერის ხმა შემოისმა. გიგლამ ეურები აცქვიტა..

სიმღერის ხმა სულ ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა. გიგლა ფეხზე წამოხტა, მიირბინა ფანჯარასთან და წამოიეკივლა:

— დედი, მამილო, ერთი უეურეთ რა ამბავია?.. რამოდენა ხალხს მოუერია თავი... ქუჩაში მოდიან... ეეურე, რამდენი წითელი დროშა უჭირავთ...

,,ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს''—მოისმოდა მოზღვავებული ხალხის სიმღერა.

გიგლას აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— მამილო, რას ნიშნავს ეს, ნუთუ ამოდენა ხალხი ასეთ მშვენიერ დილას ეგებება?!.. წითელი დროშები რაღას ნიშნავს?!..

— დილას ეგებება, შვილო, დილას, მაგრამ იმ დილას კი არა, რომელიც შენა გგონია. ის დილა, რომელსაც ეგებება ამოდენა ხალხი, სულ სხვა დილაა. ჯერ შენ ბატარა ხარ, შეიძლება ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც ცოტაოდენს გეტყვი. ეველაფერს კი დაწვრილებით გაიგებ, ჩემო გიგლა, მაშინ, როდესაც წიგნის კითხვას გაიკვეთავ და ბლომად იკითხავ.

— კი, მამილო, კი, სიამოვნებით ვიკითხავ,—გააწყვეტია გიგლამ და მოუთმენლად ეურება დაუწეო.

— ჰო და, შენ იცი, ჩემო გიგლავ... აბა, მაშ ეური დამიგდე... ხომ გახსოვს ამას წინეთ რომ ქუჩაზე მივდიოდით და ერთი ადამიანი შეგვხვდა, რომელიც საცოდავად გაეკვითლებულიეო და ტანზე დახეული ტანსაცმელი ეცვა?!.. შენ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევაც შენიშნე და შეგეცოდა. ის, ჩემო გიგლა, მუშა იყო, ქარხნის მუშა. იმ დღეს ერთს შევხვდით, მაგრამ იმისთანები ბევრია, ძალიან ბევრი... კაცი, ქალი, მწირეწლოვანი ბავშებიც კი... ეს საცოდავი ადამიანები მუშაობით წელებზე ფეხს იდგამენ, ჯანი უსუსტდებათ... რასაც შენ გარშემო ხედავ: მაგიდას, სკამს, ტანსაცმელს, რკინეულ ავეჯს, საჭმელ-სასმელს, სასახლეებს და სხვას—ყველაფერი იმ მუშების შექმნილია, მათი მუშური ხელითაა გაკეთებული, მაგრამ ცხოვრების უსამართლობა-უთანასწორობას ისინი გულსაკლავ ჰირობებში ჩაუყენებია. უსამართლობა კი, ჩემო გიგლავ, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ფაბრიკები, ქარხნები და სახელოსნოები ერთგვარ ჰატარა ჯგუფის საკუთრებაა, ჰატარა ჯგუფის, რომელსაც ბურჟუაზია ეწოდება. აი ამ მცირე ჯგუფისათვის მუშაობს ამოდენი მუშა ხალხი, მას აძლევს შვება-ლხენას, ფუფუნებაში ცხოვრებას და თვითონ კი შიმშილით კვდება. თუ მუშამ ხმა ამოიღო ამ უსამართლობის წინააღმდეგ, მაშინ მთავრობა, რომელიც ბურჟუაზიას თავის ინტერესების დასაცავად დაუყენებია, გზავნის სიმართლის მაძიებელ მუშების წინააღმდეგ ჯარს, ჰოლიციას, ჟანდარმებს, ჯაშუშებს, და მათი სისხლით რწყავს არემარეს.

— აი, ის საძაგელი, ისა... ცოდვა არ არიან მუშები?!, აღელვებით წამოიძახა გიგლამ.

— საძაგელზე უსაძაგლესია, ჩემო ჰატარავ. ეური დამიგდე... ახლა სხვა დრო დადგა, მუშებს მოთმინების ფიალა აევსოთ... ყველამ შეიგნო თავისი არაადამიანური, მონური მდგომარეობა, აღიზარდა, შეკავშირდა, თავზარდამცემ ძალად გარდაიქცა და თავის მჩაგვრელ-მტარვალებს გაუმკლავდა... სძლია კიდეც... წევდიადი სამუდამოდ იფანტება და მზიანი დილა, თავისუფლების დილა თენდება... აი, ამ დილას ეგებეშა მოზღვავებული ხალხი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ღია ფანჯრიდან კვლავ შემოისმა სიმღერის ხმა: „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს...“

— ოჰ, იმათ კი ვენაცვალე, იმათ!.. მამილო, მასწავლე ის სიმღერა, რომელსაც მუშები მღერიან, ჩემს ამხანაგებსაც შევასწავლი და ერთად ვიმღერებთ.

— ძალიან კარგი, გასწავლი, მაგრამ უფრო მეტ სიმღერებს შეისწავლი და უფრო მეტს ამბებს გაიგებ, როდესაც წიგნებს იკითხავ...

— კი, მამილო, კი!..

II

გაზაფხულის მშვენიერი დილაა... ჩიტუნები საამურად უსტვენენ მწვანით შეფოთლილ მრავალტოტა ხე-ბუჩქებში.

— „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“—მოისმა ბაღიდან სასიამოვნო, წკრიალა ხმა. გიგლას მამამ ფანჯრიდან გაიხედა და მის სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა.

გიგლას შეეყარა 10—12 თავისი ტოლ-ამხანაგი ბაღში, ჩაეწკრიალებია რიგ-რიგად, თვითონ ჰატარა წითელი დროშა ეჭირა ხელში. ყველას წინ მიუძღოდა, მღეროდა და ამღერებდა ამხანაგებს.

III

განვლო დრომ... გიგლა წამოიზარდა... დაეწაფა წიგნებს, დილიდან საღამომდე კითხულობს, წაკითხულს მამას უამბობს. დაიმეგობრა რამდენიმე ამხანაგი, შეადგინა ჰატარა წრე, ერთად კითხულობენ, მსჯელობენ. გიგლას გული აევსო მტრობით და შურისძიებით მჩაგვრელების წინააღმდეგ. თავისუფლება და თანასწორობა მას ლამპრად წინ აენთო და ამ ლამპრით სურს იაროს და გაანათოს ყოველი ბნელი კუნჭული ადამიანთა უსამართლო ცხოვრებისა.

დ. ელიოზიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

ს ა ბ ა ვ შ ო ო პ ე რ ა

მუსიკა **შ. თაქთაქიშვილის.**

გადმოკეთებული **ლ. გეგეჭკორის** მიერ

მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

1. **ზამთრის გამომსახველი ბავშვები**—თეთრად გამოწყობილი.
2. **ფრთოსანთა გუნდი**—რუხისფერ ტანისამოსში (ორხმიანი).
3. **აპრილი**—მწვანე ტანისამოსში.
4. **ზამთარი**—თეთრებში.
5. **მაისი**—წითელ ტანისამოსში. ყვავილებით.
6. ერთი ფრთოსანი (ხმა გუნდიდან).
7. გლეხები, მუშები და ხალხი.

(სცენა წარმოადგენს ტყეს. მიწა და ნაძვები თოვლით არის დაფარული. ავანსცენაზე სდგას მოხუცი ზამთარი, მოდუნული, ჯოხით ხელში; უკან შავფრთოსანთა გუნდი. წინ უდგათ ახალგაზრდა წინამძღოლი, აპრილი. ფრთოსანთა გუნდს აცვია რუხისფერი ტანისამოსი, თავზე ფრინველების მორთულობით. აპრილს ხელში უჭირავს შურდული. ფარდის ახდისას გამოდიან ბავშვები, არა ნაკლებ ოთხისა, ზამთრის ტანისამოსში და ჰერასტიერი მოძრაობით გადასცემენ ზამთრის სუსხს).



ბავშვები გადიან. ფრთოსანთა გუნდი ზამთრისკენ მიიწევს.


Moderato.
ფრთოს
გუნდი.
2. თავს ავ-ფრენთ მა-ლა, წინ გავ-სწვეთ ჭეგრად, თა-ვი-სუ-ფლებას
1. ფორს გა-გვე-ცა-ლე, თე-თრთ ზამთარო, ღრეს ძველ ცხო-ვრე-ბას
ფე-ვე-ბე-ბით. ა-ხალ გა-ზა-ფხულს. ა-ხალ სი-ცო-ცხლეს
მო-ე-ლო ბო-ლო
და-ვა მსხვრევთ ბორკილს, დავ-სცვმთ მო-ნო-ბას,
მოვ-რთავთ, მოვ-კაზ-მავთ
ძვე-ლი ნე-სე-ბი
ჟუ-ნ-ა ჩავ-ქო-ლოთ
ი-ა ვა-ნ-ა-ბ-ბ-ბ
ჟ-ნ-ა ჩავ-ქო-ლოთ
ი-ა ვა-ნ-ა-ბ-ბ-ბ
Moderato.
ფრთა.
გუნდი
ზამთარ
გა-ა-ი კაო-ბე, ძვე-ლ ზამ-თა-ა-ო,
ფე ბულ ზეი-ა-ბ-ბ, ა-ვო, ა-ფთა-ო!
წინ წაიწევს აპრილი.
Allegretto.
აპრილი.
(ამაყად)
მე ა-პრ ი ლ ი ვარ, თე-ბ-ე-ბ-ვ-ა-ლ-ბ-ბ-ბ

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა



ზამთარი შეუტევს აპრილს, აპრილი გაქვავებული დაეცემა.



უკანა რიგებიდან ისმის:

ეროვნული ბიბლიოთეკა





წითელ ტანისამოსში გამოწყობილი შემოდის მაისი, ხელში უჭირავს დიდი ოქროს ჯოხი წითელი დროშით



მიუახლოვდება ხეებს, ჯოხით შეარხევს, თოვლის გუნდები და ცვივდება. ზამთარი გადააგდებს თავის კომბალს და გაიპარება. ამ დროს სცენა აბჟუვრიალდება წითელი ფერით.



ყოველი მხრიდან მაისს უახლოვდებიან გლეხები და მუშები ბაირაღებით. ნამგლებით და ჩაქუჩებით; მაისი ადის მაღლობზე. მისს უკან ჩამოეშვება წითელი ფარდა, რომელზედაც გამოხატულია ამომავალი მზე. მოსულები მაისს გარშემო ერტყმიან. სანამ სცენაზე ხალხი გროვდება, მუსიკა უკრავს შემდეგ ნომერს. მერე ყველანი გამარჯვებულნი იმასვე მღერიან:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთ. გუნდი: შორს გაგვეცალე, თეთრო ზამთარო,
დღეს ძველ ცხოვრებას მოელო ბოლო!
დავამსხვრევთ ბორკილს, დავცემთ მონობას,
ძველი წესები უნდა ჩავქოლოთ!
თავს ავწევთ მაღლა, წინ გავწევთ მედგრად,
თავისუფლებას შევეგებებით,
ახალ გაზაფხულს, ახალ სიცოცხლეს
მოვრთავთ, მოვკაზმავთ ია-ვარდებით!
გადაიკარგე ძველო ზამთარო,
შე გულზვიადო, ავო, აფთარო!

აპრილი: მე აპრილი ვარ, თებერვალ-მარტის
ძმა ახალგაზრდა და მედიდური,
ვინც წინ დამხვდება, სიკვდილს ნამდვილად
ველარ ასცდება ის უბედური!

ფრთ. გუნდი: წადი, მოგვშორდი, ძველო ბებერო,
მსუსხავი ქარი არ დაუბერო!

აპრილი: ბილიკით წავალ, გავსრიალდები
და იმ დათოვლილ მთას მივადგები:
მზეს დავაცხუნებ, თოვლი დადნება
და ზამთარს მალე სული გასძვრება.

ფრთ. გუნდი: გადაიკარგე შორს, შორს, ზამთარო,
კმარა, რაც მთები თოვლით დაფარე.

ზამთარი: აპრილო, დადექ, ნუ ჩქაროობ შენა,
მოდი, შევებათ, გავწიოთ ბრძოლა,
ვერვინ გაბედა ჩემი ჩაწიხვლა,
ვერვინ გაბედა ჩემი ჩაქოლვა!
აბა გამოდი, თუ ხარ მაგარი,
გაგიმკლავდება ჯერ კვლავ ზამთარი!

ფრთ. გუნდი: ვაი, აპრილო,
ძირს დავარდნილო,
ჩვენ ვინ გვიშველის?!
ნუთუ კვლავ გვილის
სიცივე, ქარი,
ყინვა, ზამთარი....

ხმა გუნდიდან: არის, ძმებო, საშვალება,
რომ გავდევნოთ ეს ზამთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშის მაისს მოვუწოდოთ,
მედგარია და მაგარი!

ფრთ. გუნდი: მუშის მაისო, მოდი მოგელით,
ზამთარს დაეცი ძლიერის ხელით!

მაისი: მე მაისი ვარ...
ნაზი და წყნარი,
შეუდრეკელი
და თან მედგარი!
მე გამომყევით,
წინ, წინ მივდივარ,
ახალ ცხოვრებას
თავში ვუდგივარ!..
მე მაისი ვარ, მუშის მაისი,
ნამდვილ ზაფხულის მახარობელი,
შრომის ზეიმის მქადაგებელი,
მტარვალთა ჯარის დამამხობელი!
მოდით, მოგროვდით, ჩემთან შემოკრბით,
აქ არის ძმობის სასუფეველი,
კაცთა სიმშვიდის ვარ მოციქული,
შრომის დევიზის მღაღადებელი!

მუშ. და გლეხნი: ვაშა მაისს, მუშის მაისს,
მუშა ხალხის ერთობას!
ვაშა შრომას, გლეხის შრომას,
მათ სიმტკიცეს და ძმობას!
გაუმარჯოს ახალ საქმეს,
სასახელოს და დიადს!
გაუმარჯოს სანეტარო
მუშა-გლეხის განთიადს!

ლ. გეგეჭკორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგზაური ცხოველები

ძველეს დროში ძალიან ბევრი იყო მოძთაბარე ტომები. ისინი ნადირობით იკვებებოდენ. მონადირეები გამოეკიდებოდენ ხოლმე ველურ ცხოველებს და ამიტომ ხშირად იცვლიდენ ბინადრობას იმ იმედით, რომ სხვაგან უფრო უხვ ნადირს შეხვდებოდენ. ისინიც კი, ვინც მიწის დამუშავებას მისდევდა, ჭირნახულის მოკრეფის შემდეგ იცვლიდენ ადგილს და ბინადრობდენ იქ, სადაც მიწა ხელუხლები და უკეთესი ჭირნახულის მომცემი იყო.

ადამიანმა თანდათანობით ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი—მიხვდა, რომ შეიძლება ნიადაგის გაპატივება, მიხვდა, რომ ადგილის ასე ჩქარ-ჩქარა გამოცვლა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს.

ახლაც არიან მოძთაბარე ტომები, რომელნიც მესაქონლეობას და მხეცებზე ნადირობას მისდევენ. მაგალითად, ჩრდილოეთით ცხოვრობენ სამოედები; ისინი ირმის ჯოგის მოშენებას მისდევენ. ირმები ერთი საძოვრიდან მეორეზე გადადიან, და სამოედებიც მათ დასდევენ. ამერიკის მინდორ-ველებში დასეტიალობს ინდოელთა ტომების მონარჩენი ნაწილი, რომელნიც მხეცებზე ნადირობენ.

თქვენ, რასაკვირველია, გინახავთ მოძთაბარე ციგანები ან გაგიგონიათ მათ შესახებ. ისინი ჩერდებიან სოფლების ან ქალაქების ახლო. აქ ცხოვრობენ ცოტა ხანს, შემდეგ აბარგდებიან და ისევ განაგრძობენ ხეტიალს.

ასე მოგზაურობენ უნებლიედ სალხები. ეს მოგზაურობა მნელია და მძიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ კარგია მოგზაურობა თავისდა სასიამოვნოდ. ხომ საინტერესოა გაგება, თუ როგორ ცხოვრობს სალხი უცნობ ქვეყნებში, რა საოცარი მცენარეები და ცხოველები არის იქ და როგორ არა ჰგვანან ისინი ჩვენს ცხოველებს და მცენარეებს.

ცხოველთა შორის მოგზაურობის მოყვარულებს ვერცა კი შევხვდებით, მიუხედავად ამისა ცხოველთა უმრავლესობა ხშირ-ხშირად იცვლის ადგილს.



რომ იცოდეთ, რა საოცარ მოგზაურობას აწარმოებენ ისინი!

აი დგება გაზაფხული და უამრავი ფრინველი მოფრინავს ჩვენთან სამხრეთიდან. მოფრინავენ ტოროლები, მერცხლები, იხვები, წეროები და კიდევ სხვა მრავალი ფრინველი. მოფრინდებიან საშშობლო მხარეში, რომ გაიკეთონ ბუდეები, გამოჩეკონ შვილები და ძალ-ღონე შემოიკრიბონ. დადგება თუ არა შემოდგომა,—დაიმალებიან მწერები, მდინარეებს და ტბებს ეინული გადაეკვრება, მინდორველები თოვლით დაიფარება. ამ დროს აღარ არის საკვები და ფრინველები ადრიანადვე ეშურებიან სამხრეთისაკენ, სადაც შესაძლებელია თავის გატანა შემდეგ გაზაფხულამდის.

ათიათას ვერსს გაივლიან ფრთოსანი მოგზაურები ამგვარ გადაფრენის დროს.

ზოგიერთი თევზი სდებს ხიზილალას და მათი მოვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის თავს არც კი იწუხებს, მაგრამ ისეთი თევზი, როგორც არის ლიფსიტა, სარდინკა (წვრილი თევზი) და ორაგული,— ესენი ეძებენ წენარ წყალს, თხელ წყალს, მდინარის იმ კალაპოტს, სადაც იგი ზღვას ერთვის, სადაც ქვიშაა და არ არის ღრმა, სადაც მზე ადვილად გაათბობს ხიზილალას, რომლისაგანაც გამოიჩეკებიან ბაწია თევზები.

და აი წლის განსაზღვრულ დროს ზღვის ნაპირებთან მიისწრაფვის უამრავი თევზი დიდ ჯგუფებად; ისინი იკრიბებიან ზღვის ყურეებში, მდინარის კალაპოტში, და მეთევზეებიც უდარაჯებენ მათ ამავე დროს, ნამდვილ თევზთა სასაკლაოს აწყობენ.

ლიფსიტა ყოველ წელს მოგზაურობს: სცურავს ირლანდიიდან ამერიკაში და ნორვეგიიდან, ბალტიის ზღვის კადავლით, შოტლანდიაში და საფრანგეთის ნაპირებისკენ. როცა თევზების დიდი გროვა მოგზაურობს,—ზღვა იმ ადგილს ბრწყინავს როგორც ვერცხლისფერი სარკე. თქვენ მიხვდებით, რომ ეს არის რამოდენიმე მილიონ ლიფსიტას ფურგები, რომლებიც მისცურავენ მჭიდროდ ერთი-ერთმანეთზე მიკრული, დიდ გროვად, ასე ოცდაათი კილომეტრის სიგრძეზე და ათი კილომეტრის სიფართეზე.

უველაზე გულად და ამტან მოგზაურად ითვლება ორაგული. აპრილის რიცხვებში მიეშურებიან ორაგულები ზღვის ნაპირის გასწვრივ ასე ოცდაათ-ორმოცი ცალამდის მდინარისაკენ და სცდილობენ შიგ შესვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეოველგვარ დაბრკოლებას ებრძვის ორაგულობა—სიმდინარეს ისეთ დაბრკოლებებსაც კი, როგორიც არის: ბადეების გახლეჩა, ჩანჩქრებზე ვადასტომა, საგუბრის გარღვევა, იჩენს საოცარ ძალას, სიმკვირცხლეს და შეუდრეკლობას. ისინი გადასცურავენ ხოლმე სწრაფ მიმდინარეობას, სტიან მორევზე 2—4 არშინის სიმაღლეზე და ხშირად იღუპებიან კიდევაც ჰაერზე ამოხტომის და კლდეზე დაჯახების დროს.

ისინი დიდხანს მოგზაურობენ. სცურავენ ასეულ ვერსებს გრილ დროს, ხანდახან ორი სამი თვის განმავლობაში, სანამ არ მიუახლოვდებიან მდინარის სათავეს. აქ კი ეძებენ ქვიშნარ ადგილს, სადაც მზე ნათლად ანათებს და იწყებენ მუეაითად მუშაობას. ერთსულოვნად სთხრიან ქვიშნარს და გაჰეავთ მიწის ნაპირთან ღრმა კვალი. აი ამ კვალში ისინი სდებენ ხიზილალას—მილიონ ბაწია ბირთვებს—კვერცხებს.

მორჩებიან თუ არა მუშაობას, მდინარის შუაგულისკენ გაეშურებიან დასასვენებლად.

ჩრდილოეთის თოვლიან ტუნდრებში დათარეშობენ ჩრდილოელი ირმები. ისინი სთხრიან, ჰფანტავენ ჩლიქებით თოვლს და ბოულობენ ხავსს, ბალახს და მით იკვებებიან. დგება ზაფხული. ეს ხანა ირმებისათვის თითქოს დასვენების დროდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არა!—ირემი მაინც გზას ეშურება. სხვა გზა აღარა აქვს: კოღოები, ბუზანკლები არ ასვენებენ, ხანდახან სძლევენ კიდევაც და ირემი მიდის მთებისაკენ, სადაც იშვიათია კოღო.

ირმებს მისდევენ მგლები, დათვები. ისინი ხომ ირმებზე ნადირობენ! იმათ უნდა უდარაჯონ, თვალი ადევნონ თავის სარჩო ნადირს.

როდესაც სკაში ჩნდება ფუტკრის ახალი ნაყარი, ფუტკრების ნაწილი ამოფრინდება და ეძებს გამოსადეგ ალაგს ახალი ბუდის შესაქმნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეული ცხვრები, თხები, ნიამორები ზაფხულობით ბალახობენ მთებში, მაგრამ შემოდგომაზე, როდესაც მთებში აცივდება, ისინი ეშვებიან თანდათან სულ დაბლა, დაბლა, სადაც ტყეა. იქ გაცილებით უფრო თბილა, იქ შეიძლება თავის შეფარვა ზამთრის ქარისა ან ქარიშხალისაგან და უფრო ადვილია თოვლის ქვეშ საკვების შოვნა.

აი ეველა ის მოგზაურები, რომლებმაც იციან, რომ განსაზღვრულ დროს აუცილებლად უნდა გაშორდენ შეჩვეულ ადგილებს, თორემ მათ ან მათ შვილებს დაღუპვა მოელით.

ცხოველთა უმრავლესობა ეშურება შორეულ მხარეებში სხვადასხვა მიზეზების გამო, უფრო მეტად კი შიმშილის გამო.

აი შარშან, ჩრდილოეთით, ერთერთ მაზრაში უცებ გაჭქრენ ციყვები. აღმოჩნდა, რომ იმ წელს თხილის და რკოს მოუსავლობა იყო. ცხადია, ციყვებმაც ეს გაითვალისწინეს და გაეშურნენ მეორე მაზრისაკენ, სადაც თხილიც და რკოც ბლომად მოიპოვებოდა.

ციყვები მოგზაურობას აწარმოებენ დიდ ჯგუფებად. შეუძლიათ მდინარეებზე გადაცურვა, იტანენ ეოველგვარ დაბრკოლებებს, მაინც ბოლოს და ბოლოს თავისი გააქვთ და მიზანს აღწევენ.

ნუ გეგონებათ, რომ მოუფიქრებლად აწარმოებენ მოგზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურობას. არა, ისინი ჭეშმარიტად მზვერავები, მზვერავები ჭეშ-ულობენ სათანადო ადგილს, ატეობინებენ და მიჭეავთ ჯოგი იმ ადგილას.

ცხელ ქვეყნებში მინდორ-ველად ხშირად არის ხოლმე გო-ლვა. მცენარეები ჭკნება, მდინარეები და ტბები შრება, და მა-შინ ცხოველებს სჭირდებათ უწყლობის თავიდან აცდენა მთე-ლი ჯოგები ცხენების, კამეჩების, თხების—წყლის და ბალახის საძებნელად მიისწრაფიან ამ უწყლო მიდამოდან.

და როდესაც ამინდი წვიმიანია, მინდორ-ველი ამწვანე-ბული, მდინარეები ახმაურებული,—მოგზაურები საშშობლო მხარეში ბრუნდებიან.

ვეშაპები იკვებებიან ზღვის წვრილ ლოკოკინებით და მა-თი მოძებნისათვის დიდი გზის გავლა უხდებათ, ხანდახან ათას ვერსამდის და ეოველთვის იღბლიანად, თითქოს იციან, თუ სად მოიპოვება საეოფი საკვები.

გაგიგიათ კალ. ის შესახებ? უსათუოდ გაიგებდით. საში-ნელი მწერია სასოფლო მეურნეობისათვის, ხომ?

კალია ანადგურებს ბურს, მცენარეებს, ხის ფურცლებს, ბალახს, თითქმის ეველაფერ მწვანეულობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაწამს გამოიჩიკება, იმწამსვე იწყებს ხტუნვას, საკვებს ეძებს. მას ჯერ ფრთები არც კი აქვს და იგი მხოლოდ ხტუნავს. შემდეგ მას ესხმება ფრთები და მაშინ კი იგი სცილდება მიწას და მიფრინავს ქარის მიმდინარეობით.

ყველაზე უფრო საშინელი ის არის, რომ კალიები ჯგუფდებიან უამრავ ცოცხალ ნისლივით, ნისლივით მიფრინავენ და ეშვებიან ველ-მინდვრებზე, ბაღებში, ეანებზე, და ვაი ჭირნახულს! არც ერთი ბალახი, არც ერთი ფურცელი არ რჩება იქ. კალია ყველაფერსა სჭამს მიწა ტიტვლდება. ამოსჭამს თუ არა იქაურობას, კალია სხვაგან მიფრინავს.

იგი ცოცხლობს მხოლოდ რამოდენიმე დღეს, სამაგიეროდ ამ დროის განმავლობაში დედა-კალიები ასწრებენ მიწაში უამრავ კვერცხების ჩაფლას, რომლიდანაც შემდგომ ახალი კალიები იბადებიან. ბრძოლა მათ წინააღმდეგ დიდ შრომას იწვევს.

აი ამგვარად მოგზაურობენ ცხოველები, ფრინველები და მწერები.

დ. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეპელა

გაიპარა ზამთარი კუდამოძუებული. დადგა გაზაფხული და მთელი ბუნება აამწვანა, აამღერა. ჩიტები დაფრინავენ, ბუდეებს სწნავენ, საამურად ჭიკჭიკობენ. აგერ ჭრელ პეპელასაც გაუგია გაზაფხული დადგაო და გაიღვიძა: თვალები მოიფშვნიტა, ფრთები გაისწორა და გაფრინდა. უხარია პეპელას; აღარ იცის ვის მიეალერსოს, ვის აკოცოს. ამ დროს შენიშნა კოხტა ია. იასაც ის იყო გაჰღვიძებოდა, თავის ლურჯ კაბას ისწორებდა და მღეროდა:

ეგვაილი ვარ ველისა,
ვზივარ ბუჩქის ძირასა;
ლურჯი კაბა მაცვია,
მეძახიან ისა.

დაინახა თუ არა პეპელამ ია, გაექანა, თავს შემოევლო, ხან გაექცა, ხან მიუახლოვდა და აკოცა.

იას შეეშინდა.

— რა დაგემართა? რას მეცი!—უსაყვედურა იამ,—ვიცოდი, მესტუმრებოდი, მაგრამ ეგრე მალე კი არა. ჯერ სეირიანად არც კი გავშლილვარ.

— რომ იცოდე, როგორ მინდოდა შენი ნახვა.—წაუჩურჩულა პეპელამ.—რა ლამაზი ხარ! რა კარგი სუნი გაქვს.

ამ დროს ფუტკრის ბზუილი მოისმა.

— დამშალე, დამშალე, გენაცვალე.—შეესვეწა პეპელას შეშინებული ია.—ის შენსავით ნაზად კი არ მაკოცებს, მიკბენს.

პეპელამ თავისი ლამაზი ფრთები გადააფარა პატარა დობილს.

კატო ბურ—ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კუ მიდის დასაძინებლად“

იჭიკო დაღონებულია.

სწუხს, რომ სახელი აქვს გატეხილი.

ეველა ემდურის:

აგვიკლო, აგვიკლოო... მეტად ცელქიაო...

რა ქნას?.. სცდილობს დარბაისლობა გამოიჩინოს, მაგრამ ვერ ასერხებს... ფიქრები ნიადაგ საგიჟმაჟოდ მოუწოდებენ...

მისს საძაგლობაზე უფრო მოუხშირეს ლაპარაკი მას შემდეგ, რაც მისმა დაიამ ციალამ მწერლობის უნარი გამოიჩინა.

ჯერ სრულიად პატარაა, ცხრა წლისა არც კი იქნება და მისი მოთხრობა უკვე „ნაკადულში“ დაიბეჭდა...

დიდ-პატარა იმაზე ლაპარაკობს ..

მას აქებენ...

ციალას ბედი კი არ ჭშურს ბიჭიკოს...

ბიჭიკომ იცის, რომ ციალა ნიჭიერია... კარგია... კეთილია...

იმ დღეს მას ბიჭიკო შეებრალა კიდეც.

რაკი ბიჭიკოზე კარგს არაფერს ამბობდენ და მხოლოდ ონაგრობის ფალავნად სთვლიდენ, ციალამ დაუწერა ბიჭიკოს ერთი ძალიან კარგი მოთხრობა და უთხრა:

— ბიჭიკო, ნუ გეწყინება და შენი იეოს... აჩვენე ჩვენებს, ვითომც შენ დასწერე...

ეს დროებით...

მე დიდი ვარ, შენ პატარა... ჩემოდენა როცა გახდები, მაშინ თვით დასწერ ჩემზე უკეთესებს...

ბიჭიკომ იწყინა...

აიტეხა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხომ ბორბოტებაა...

მიითვისოს სხვისი კუთვნილება...

ფარშევანგის ლამაზი ბოლოები გაიკეთოს მაშინ, როცა ფარშევანგი არ არის და შეიძლება უფრო ეკავს წააგავდეს...

არამცა და არამც...

— როგორ მოგივიდა ციალა ეგ ცუდი აზრი?..

შენთვის რომ ეთქვათ, იზამდი?.. ხელს მოაწერდი სხვის ნაწერს?..

— არა!..

— მაშ მე რაღათა გგონივარ ისეთი სულელი?..

სხვას რომ გაებედნა ბიჭიკოსთვის ამნაირი რამ, უეჭველად კარგა შეანელებდა, მაგრამ ეს უთხრა ციალამ, რომელსაც ალალი გულით დაეჯერთა და ამიტომ არ წაეჩხუბა.

*
* *

რა ბევრსა დარდობს? ეგება თვითაც შეიძლოს წერა... სცადა რამდენჯერმე... არა გამოვიდა რა... არც იტაცებდა ლექსმოთხრობებზე ფიქრი...

ბიჭიკოს უფრო უყვარდა ძერწვა... ხატვა... ქანდაკება...

ძერწვის დროს ბიჭიკოზე უკეთეს ჩიორებს ვერავინ გამოიყვანდა...

ტფილისის ისეთი ნახჯი გააკეთა, როცა მთაწმინდიდან კარგა დაათვალიერა, რომ მოზრდილ მოწაფეთაც გაუჭირდებოდათ...

კლასის კედლებს უფრო ბიჭიკოს ნახატები ამშვენებდა..

სახლში ძალიან უყვარდა თიხის ხელობა.

ხიდების, ბოგირების, შენობების კეთება...

უშლიდენ... ტანისამოსს ითხუპნისო...

ბევრჯერ წაურთმევიათ საგანგებოდ შემზადებული თიხა და დაურჩენიათ თვალცრემლიანი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს საღამოს ცოცალა ხმამაღლა კითხულობდა ვაჟა-ფშაველას „მთებს“.

ბინდ-ბუნდი თანდათან ხშირდებოდა.

შორს მოჩანდენ მთის მწვერვალები...

ბიჭიკო სარკმელთან იჯდა და გაჰყურებდა მინაზებულ შემოღამებას..

მოეწონა გადაშლილ ბუნების სურათი...

ფანქარი აიღო და იწყო ხატვა.

იისფერი ზოლებივით გააყოლა ის მთები..

მისაზ-მოხაზა..

ისე თავისუფლად ემორჩილებოდა ფანქარი, თითქოს სათამაშო ნივთი ეოფილიყოს...

დახატა შეღამება, რომელიც მთებიდან სულ ძირს და ძირს მოიწევს...

ამ ხშირ მწუხრში ბუჩქნართა შორის სადღაც მიცოცავს რაღაცა ჰატარა სულდგმული...

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ იგი კუ იყო...

როცა გაათავა ხატვა, ბიჭიკომ წააწერა სურათს:

კუ მიდის დასაძინებლად.

ბიჭიკო.

*
* *

ამასობაში კარგა შეღამებულიყო კიდეც...

ფიქრით და ღელვით მოთენთილ ბიჭიკოს ჩაეძინა...

დედამ გააღვიძა და ჩააწვინა ლოგინში...

*
* *

მეორე დილას ბიჭიკოს მამამ დაინახა მაგიდაზე რაღაც ნახატი...

გასინჯა... მოეწონა... თვალები გაუბრწყინდა.

მას ადრევაც უნახავს ბიჭიკოს ფანქრის ნავარჯიშევი, მაგრამ ფარსაგს არაფერს ჰხედავდა...

ახლა კი ეს სურათი მეტად მეტყველი იყო...

ბუნება, მთები, ღამე, თვით კუ—ისე იყო შემოხაზული, რომ გეგონებოდათ მუსიკა გაისმის ხაზებისაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამას ბიჭიკოსთვის არა უთქვამს რა...

მის გაუგებრად წაიღო ნახატი საემაწვილო ჟურნალის რედაქციაში ..

იქ სურათი მოიწონეს და მიიღეს კიდეც...

ერთი თვის შემდეგ ჟურნალის იმ განყოფილებაში, რომელსაც აწერია: ბავშთა შემოქმედება, დახატული იყო სურათი:

,,კუ მიდის დასაძინებლად''...

ზედ მოხდენილად იყო აღბეჭდილი ქორფა მხატვრის სახელი: ,,ბიჭიკო''.

*
* *

მამამ ჩვეულებისამებრ მოიტანა ჟურნალის ახალი ნომერი...

ბიჭიკომ დაუწყო ფურცვლა.

ჭფიქრობდა, ეგება ციალას მოთხრობა კიდევ იყოსო...

გადაავლო მთელ ჟურნალს თვალი...

უცბად რაღაც ნაცნობ სურათს მოჰკრა თვალი...

ჯერ ეგონა, ვითომც მზერამ მოატყუა...

მოიფშვნიტა თვალები...

კიდევ ის ნაცნობი სურათი.

— აბაი, ვიღაცას როგორ ჩემსავით დაუხატნია...

მაგრამ...

წარწერა...

წარწერა სულ სხვას მეტყველებდა...

,,ბიჭიკო'' გამოეკვანილი იყო ზედ, და ეს სახელი იხ ჭშვენოდა სურათს, როგორც ყანას მოღაღანე ღიღილო.

ბიჭიკოს ენიშნა ყველაფერი...

წამოწითლდა...

ღაქღაქსაჭით აენთო...

— ჩემი სურათი!... — წამოიძახა და შესტა აღტაცებით...

დედ-მამამ დაჭკოცნეს...

უხაროდათ მათ... უხაროდა ბიჭიკოს, მაგრამ, ვგონებ, ყველაზე ძალიან უხაროდა ციალას, რომ მისი ძმია აღარ იქნება ებადალული... ბუში აღარ დაეჩაგრება...

იმასაც ეტყობოდა ხელოვნების ნიჭი.

თბილისი

დ. თურდოსპირელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვთვლი ცალკე მარცვლებსა
და დავალაგებ წეობითა,
შემდეგ შენ შეჰკარ, ჰატარავ,
მე დამასვენე ხნობითა.

„ამ“ შეაბრუნე და მეცხრე
ასოს უნგრიე თავს ბანი,
თან ეურადღებით იეავი,
სწორედ გათვალე ანბანი.

—

პირველი არის ორგანო
ცხვირსა და ნიკაპს შორისა,
ასო უშალე ბოლოში,
ფიქრია წუთის ორისა!

ქათმების მტერსა-დუშმანსა
რომ თვალი მოჰკრა მელასა,
რას ეტყვი ერთგულ ტუგრიას,
რომ გაუტიო იმასა?

—

მეორე-გიეკარს ძალიან
მასზე სტუნვა და თამაში,
(ბალახით შემოსილია)
დამერწმუნები ამაში.

მორჩა... გათავდა შარადის
შემადგენელი მარცვლები,
ახლა შენ შეჰკარ, ჰატარავ,
იფიქრე, გენაცვალები!

ალნა; პირ-ველი მა-ი-სი. (პირველი მაისი).

დ. კარბელი.

აპროსტიხი

პირი უცინის მიდამოს,
ქარგებიან ველები.
რუნი კლდით მოსრიალებენ,
ვით ვერცხლისფერა გველები.
ქალერსება ჰეპელა
ლაშაზთვალება იასა;
მათ მასლობლად ბუჩქებში
მღერის ბულბული „ტიასა“.
არის ბუნების ზეიმი,
ისმის ჭანგები მღერისა;
სიცოცხლე სდუღს და გადმ ოდის
ივსება ჭიქა ლხენისა!

დ ელიოზიშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1925 წ.

მიიღება ხელის მოწერა საუმაწვილო დასურათებულ ეროვნულ-თვიურ ჟურნალებზე:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XXI წ.

მოზრდილ. „წითელი სხივი“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად.

„ნაკადული“	გადაგზავნით	3 მ. 50 კ.
„წითელი სხივი“		5 მან.

ცალკე ნომერი { „ნაკადული“ 30 კაპ.
„წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ გაბუოფ. 3-მე სტამბა, № 2220